

დ ა მ ტ კ ი ც ე ბ უ ლ ი ა
ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის
მერის 2020 წლის ____ მარტის
№ ____ ბრძანებით

**ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული
ქვეპროგრამის „ბათუმი - სპორტის ქალაქი“ ფარგლებში
კონკურსის ჩატარების პირობების შესახებ**

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. ეს დებულება განსაზღვრავს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ქვეპროგრამის „ბათუმი - სპორტის ქალაქი“ (შემდგომში - ქვეპროგრამა) ფარგლებში კონკურსის ჩატარების რეგულაციებს - პირობებს, პროცედურებს და მხარეთა უფლებამოსილებებს.

2. კონკურსი ითვალისწინებს:

2.1. მასობრივი სპორტის პოპულარიზაციას;

2.2. ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება - რეკლამირებას;

2.3. სპორტის გავითარების მხარდაჭერას.

გამორჩეული (სანახაობითი/მიმზიდველი/აქტუალური...) პროექტების შერჩევა - განხორციელებას, რომელთა ჩატარება ხელს შეუწყობს სამიზნე აუდიტორია/ჯგუფების (მუხლი 2. პუნქტი 2) გააქტიურებას, ჩართულობას, ბათუმელი სპორტსმენების (არაპროფესიონალი) სპორტული ოსტატობის დონის ამაღლებას, სპორტის სხვადასხვა სახეობების განვითარებას და ქალაქის სპორტული ღონისძიებების გამრავალფეროვნებას, ბათუმის, როგორც სპორტული ღონისძიებების მასპინძელი ქალაქის ცნობადობის ამაღლებას, პოპულარიზაციას, რეკლამირებას.

3. კონკურსის ასიგნებათა ჯამური მოცულობა შეადგენს - 60,0 ათას ლარს.

4. ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან მოთხოვნილი თანხა (შემდგომში - მოთხოვნილი თანხა) თითოეულ პროექტზე, განისაზღვრება - არაუმეტეს 12,0 ათასი ლარისა.

5. პროექტების შერჩევა, ხორციელდება კონკურსის წესით, ა(ა)იპ „ბათუმის სპორტული ცენტრის“ (შემდგომში - ცენტრი) დირექტორის ბრძანებით შექმნილი კომისიის მიერ, ხოლო განხილვის შედეგები (რეკომენდაციის სახით) წარედგინება ცენტრის დირექტორს, რომელიც დებულობს საბოლოო გადაწყვეტილებას.

6. პროექტი უნდა განხორციელდეს (დაწყება - დასრულება) შესაბამისი საბიუჯეტო წლის განმავლობაში.

7. ქვეპროგრამის განმახორციელებელია - ა(ა)იპ „ბათუმის სპორტული ცენტრი“.

8. პროექტები, რომლებიც წარმოდგენილია საქართველოს ცენტრალური, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების, აგრეთვე, მათ მიერ შექმნილი/დაფუძნებული ორგანიზაციების მიერ, არ განიხილება.

9. ასევე, არ განიხილება იმ იურიდიულ პირთა განაცხადები, რომელთაც მიმდინარე საბიუჯეტო წელს მოპოვებული აქვთ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის დაფინანსება წარმოდგენილ პროექტთან მიმართებაში, სხვა პროგრამებით / ქვეპროგრამებით.

მუხლი 2. მიზანი და სამიზნე აუდიტორია/ჯგუფები

1. კონკურსის ძირითადი მიზნებია:

1.1. ქალაქ ბათუმის, როგორც მაღალი დონის, მიმზიდველი და სანახობითი, სპორტული ღონისძიებების მასპინძელი ქალაქის ცნობადობის ამაღლება, პოპულარიზაცია, რეკლამირება;

1.2. მასობრივი სპორტისა და ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების პოპულარიზაცია, რეკლამირება, სპორტის განვითარების (არაპროფესიონალი/მოყვარული) მხარდაჭერა, ხელშეწყობა, საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება და სპორტულ ღონისძიებებში მოქალაქეების მონაწილეობისათვის დამატებითი შესაძლებლობების შექმნა;

1.3. ისეთი სპორტული ღონისძიებების შერჩევა და მხარდაჭერა, რომელთა განხორციელება ხელს შეუწყობს სპორტული ტურიზმის (ადგილობრივი/საერთაშორისო) განვითარებას, ვიზიტორთა რაოდენობის გაზრდას, სპორტული დელეგაციების, მედია საშუალებებისა და გულშემატკვირების მოზიდვას, ბათუმელი სპორტსმენების სპორტული ოსტატობის დონის ამაღლებას, ქალაქის სპორტული ღონისძიებების გამრავალფეროვნებას, გააქტიურებას.

2. სამიზნე აუდიტორია/ჯგუფები:

2.1. ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების აღსაზრდელები;

2.2. ზოგადსაგანმანათლებლო/საჯარო სკოლების მოსწავლეები („ჯანსაღი სკოლა“);

2.3. სკოლისგარეშე გამაჯანსაღებელი და სპორტული დაწესებულებები (მათ შორის ეზოებში არსებული სპორტული მოედნების მიზნობრივი დატვირთვა, ირგვლივ მცხოვრები ახალგაზრდების გააქტიურების, ჩართულობის გაზრდის მიზნით);

2.4. უმაღლესი/პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები (სტუდენტები/მოსწავლეები);

2.5. შრომითი დასაქმების დაწესებულებები (თანამშრომლები - წარმოება-დაწესებულებების, ორგანიზაციებისა და შრომითი დასაქმების სხვა სფეროში);

2.6. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები;

2.7. პენიტენციური დაწესებულებები (ბრალდებულები/მსჯავრდებულები);

2.8. ქალაქის მოსახლეობა („ჯანსაღი ქალაქი“ - ასაკი შეუზღუდავი. მ.შ. ვეტერანები).

3. ქვეპროგრამა ითვალისწინებს გამორჩეული (სანახობითი/მიმზიდველი/აქტუალური) პროექტების შერჩევას კონკურსის ფორმატში, ყველა დაინტერესებული პირისთვის საყოველთაო და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას, კონკურენტული გარემოს, თანაბარი შესაძლებლობებისა და განვითარების პირობების დაწესებას, მხარდაჭერასა და ხელშეწყობას.

მუხლი 3. ავტორიზაცია

1. კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია ნებისმიერ იურიდიულ პირს, რომლის იურიდიული მისამართი მდებარეობს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში (შემდგომში - აპლიკანტი) და აკმაყოფილებს დებულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

2. აპლიკანტი უფლებამოსილია წარადგინოს მხოლოდ ერთი განაცხადი, გარდა იმ იურიდიული პირებისა, რომელთაც წესდებით დაშვებული აქვთ საქმიანობა სპორტის სხვადასხვა (ორი ან მეტი) სახეობის მიხედვით.

3. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად, აპლიკანტმა ცენტრში (მის: ქ. ბათუმი, ლადო ასათიანის ქ. N27) უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:

3.1. შევსებული განაცხადი (ბრძანების დანართი 2);

3.2. ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან;

3.3. პორტფოლიო (არსებობის შემთხვევაში - ანალოგიური სპორტული ღონისძიების განხორციელების ამსახველი აუდიო - ვიზუალური მასალა, ხელშეკრულება, მიღება -ჩაბარების აქტი და სხვა);

3.4. თანადაფინანსების ან/და მხარდაჭერის დამადასტურებელი დოკუმენტი (კერძო ან/და სახელმწიფო, ფინანსური, ქონება, ტრანსპორტი, ტექნიკური მოწყობილობანი და ძირითადი საშუალებანი).

4. აპლიკანტის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია უნდა შეესაბამებოდეს სინამდვილეს.

5. დოკუმენტები უნდა იყოს წარმოდგენილი ქართულ ენაზე (ბეჭდური სახით - Microsoft Word Document / Sylfaen), ხოლო უცხო ენაზე წარმოსადგენი დოკუმენტი უნდა იყოს ნათარგმნი ქართულ ენაზე და ნოტარიულად დამოწმებული.

6. ცენტრი უფლებამოსილია საჭიროების შემთხვევაში, მოითხოვოს დამატებითი დოკუმენტაცია.

მუხლი 4. კონკურსის ეტაპები

1. პირველი ეტაპი - დოკუმენტაციის შესწავლა.

2. აპლიკანტის მიერ რეგისტრირებული განაცხადი (თანდართულ დოკუმენტებთან ერთად), ეგზავნება ცენტრს, რომელიც შემდგომი რეაგირების მიზნით, გადაეცემა ცენტრის სპორტის განყოფილებას (შემდგომში - განყოფილება):

3. განყოფილება:

3.1. უზრუნველყოფს აპლიკანტის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის დამუშავებას და რეესტრში შეყვანას;

3.2. შეისწავლის განაცხადს და არასრული დოკუმენტაციის წარდგენის შემთხვევაში, აპლიკანტს წერილობით აცნობებს აღნიშნულის გამოსწორების თაობაზე (ხარვეზის აღმოფხვრა, დაფინანსების კორექტირება, პროექტის დაზუსტება თუ სხვა ნებისმიერი დეტალი). ასევე, განხორციელებს კომუნიკაციას, განაცხადში მითითებული საკომუნიკაციო საშუალების მეშვეობით (სწრაფი რეაგირების მიზნით, ელფოსტით ან/და მობილურ ტელეფონზე SMS შეტყობინების სახით), რათა ოპერატიულად მოახდინოს დოკუმენტაციის მოწესრიგება 5 სამუშაო დღის ვადაში;

3.3. ხარვეზის განსაზღვრულ ვადაში გამოუსწორებლობის (არსებითი) ან თავის არიდების შემთხვევაში - პროექტი კომისიაზე არ განიხილება;

3.4. თუ დოკუმენტაცია შეესაბამება ამ დებულების მე-3 მუხლით დადგენილ მოთხოვნებს - ამზადებს მოხსენებით ბარათს (კომისიის თავმჯდომარის სახელზე) კომისიური წესით განხილვაზე წარსადგენად/დასაშვებად და მასალებს წარუდგენს კომისიის წევრებს.

4. მეორე ეტაპი ითვალისწინებს განაცხადების განხილვას კომისიური წესით. მათ შორის კომისიის სხდომაზე, აპლიკანტის მიერ, თავისი პროექტის წარდგენას (სასურველია პრეზენტაციის სახით 5წთ. - პროექტის ანოტაცია, მიზნები, მოსალოდნელი შედეგები და ა.შ.).

მუხლი 5. განაცხადების მიღებისა და გადაწყვეტილების მიღების ვადები

1. განაცხადების მიღება იწარმოებს ყოველი თვის პირველი სამუშაო დღიდან - 12 სამუშაო დღის ჩათვლით, გარდა დეკემბრის თვისა (განაცხადების მიღება არ იწარმოებს).

2. შემოსული განაცხადები განიხილება განაცხადების მიღების ვადის ამოწურვიდან 7 სამუშაო დღის ვადაში.

3. კონკურსის შედეგები კონკურსანტს ეცნობება, განაცხადის მიღების ვადის ამოწურვიდან 15 სამუშაო დღის ვადაში.

4. განაცხადების მიღება იწარმოებს ქვეპროგრამით გათვალისწინებული ასიგნების ფარგლებში - ამოწურვამდე (ბენეფიციართა რაოდენობა შეზღუდული არაა).

5. ცენტრის დირექტორი, კომისიის რეკომენდაციის წარდგენიდან არაუგვიანეს 3 სამუშაო დღისა, გამოსცემს ბრძანებას კონკურსის შედეგების დამტკიცების - კონკურსში გამარჯვებული პროექტების გამოვლენის, ასიგნების მოცულობისა და მომსახურების შესყიდვის თაობაზე.

მუხლი 6. კომისიის უფლებამოსილებები

- 1.** კომისია თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს წინამდებარე დებულებით;
- 2.** კომისიის წევრთა რაოდენობა და სიითი შემადგენლობა განისაზღვრება ცენტრის დირექტორის ბრძანებით;
- 3.** კომისიის მუშაობას ხელმძღვანელობს კომისიის თავმჯდომარე, ხოლო მისი არყოფნისას - კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;
- 4.** კომისია ანგარიშვალდებულია ცენტრის დირექტორის წინაშე;
- 5.** კომისიის გადაწყვეტილება სარეკომენდაციო ხასიათისაა. საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს ცენტრის დირექტორი;
- 6.** კომისია ამტკიცებს იმ განაცხადთა სიას, რომლებიც არ შეესაბამება ამ დებულებით დადგენილ მოთხოვნებს და იღებს გადაწყვეტილებას აპლიკანტის კონკურსიდან მოხსნის თაობაზე;
- 7.** კომისია განიხილავს განაცხადებს, აკეთებს შეფასებებს, გამოავლენს საუკეთესო პროექტებს კონკურსით გათვალისწინებული ასიგნების ფარგლებში და ცენტრის დირექტორს წარუდგენს რეკომენდაციას;
- 8.** საჭიროების შემთხვევაში, დასაშვებია კომისიის სხდომაზე განხილვის დროს, აპლიკანტთან მოხდეს ხარჯების დაზუსტება (სრულად ან ნაწილობრივ), წარმოდგენილ ხარჯთაღრიცხვასთან მიმართებაში, ხოლო შეფასება განხორციელდება კორექტირებული თანხების გათვალისწინებით, აპლიკანტის წერილის საფუძველზე;
- 9.** საჭიროებიდან გამომდინარე, კომისიის სხდომა შეიძლება გადაიდოს ან ჩატარდეს დამატებით (საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე);
- 10.** კომისია უფლებამოსილია, თუკი სხდომას ესწრება სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი მაინც.
- 11. კომისიის თავმჯდომარე:**
 - 11.1.** წარმართავს კომისიის საერთო ხელმძღვანელობას, ანაწილებს ფუნქციებს და დავალებებს კომისიის წევთა შორის. ასევე, უზრუნველყოფს სხვა ორგანიზაციული საკითხების გადაწყვეტას;
 - 11.2.** კომისიის სხდომის ჩატარებიდან არაუგვიანეს 3 სამუშაო დღისა, ცენტრის დირექტორს წარუდგენს მოხსენებით ბარათს განხილვის შედეგების თაობაზე.
- 12. კომისიის მდივანი:**
 - 12.1.** ახორციელებს საკონკურსოდ წარმოდგენილი განაცხადების შესწავლა - დამუშავებას და წინასწარ შემუშავებულ რეესტრში შეყვანას. ასევე, საოქმო ჩანაწერების უზრუნველყოფას, კომისიის შეხვედრების ორგანიზებას და სხვა ორგანიზაციული საკითხების აღსრულებას;
 - 12.2.** კომისიას მოახსენებს ინფორმაციას/ანოტაციას თითოეულ პროექტთან მიმართებაში;
 - 12.3.** კომისიის წევრთა მიერ განხორციელებული შეფასების შედეგად დაგროვილი ქულების დაჯამებით, ახდენს საბოლოო შედეგების გამოვლენას;
 - 12.4.** ამზადებს/აფორმებს კომისიის გადაწყვეტილებას ოქმის სახით, კომისიის სხდომის დასრულებიდან 3 სამუშაო დღის ვადაში, რომელსაც ხელს აწერს კომისიის თავმჯდომარე და მდივანი;
 - 12.5.** ამზადებს მოხსენებით ბარათს კომისიის რეკომენდაციის თაობაზე, ცენტრის დირექტორზე წარსადგენად.
 - 12.6.** საჭიროების შემთხვევაში, კომისიის თავმჯდომარესთან შეთანხმებით, იწვევს მაღალკვალიფიციურ სპეციალისტებს, ექსპერტებს და სხვა დაინტერესებულ პირებს, რომლებიც კენჭისყრაში მონაწილეობას არ ღებულობენ.

13. კომისიის წევრი:

13.1. გადაწყვეტილებებს იღებს დამოუკიდებლად;

13.2. შეისწავლის განაცხადს და ახდენს შეფასებას.

14. კომისიის თითოეული წევრის მიერ განხორციელებული შეფასებები კონფიდენციალურია და განკუთვნილია მხოლოდ სამსახურებრივი მიზნებისათვის;

15. კომისიის მიერ, საკონკურსო განაცხადების განხილვის შემდეგ, ცენტრი ამზადებს დირექტორის ბრძანების პროექტს, კონკურსის შედეგების დამტკიცებისა და შერჩეული პროექტების დაფინანსების თაობაზე.

მუხლი 7. შეფასების კრიტერიუმები

1. საკონკურსო განაცხადის შერჩევა ხდება შეფასების კრიტერიუმების გათვალისწინებით.

2. საკონკურსო განაცხადის შეფასება ხდება 0 – 10 ქულის ფარგლებში, შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

2.1. პროექტის განხორციელების საერთო მიზანშეწონილობა (მხედველობაში მიიღება - რამდენად პრიორიტეტულია თუ აქტუალურია ღონისძიება, მიზნებთან და სამიზნე ჯგუფებთან შესაბამისობა, მონაწილეთა რაოდენობა, ლოგისტიკის ხარჯები, PRკომუნიკაციის შესაძლებლობები): **10 ქულამდე;**

2.2. ცენტრიდან მოთხოვნილი დაფინანსების ოდენობის შეფასება (საპროექტო განაცხადის განხილვისას მხედველობაში მიიღება პროექტის ბიუჯეტის ოპტიმალურობა): **10 ქულამდე;**

2.3. გამოცდილება/უნარი წარმატებით განახორციელოს წარდგენილი პროექტი: **10 ქულამდე.**

მუხლი 8. გადაწყვეტილების მიღების წესი

1. საბოლოო შედეგები განისაზღვრება თითოეული პროექტის მიხედვით, კომისიის თითოეული წევრის მიერ განხორციელებული შეფასების შედეგად დაგროვილი ქულების დაჯამებით.

2. რეკომენდაცია გაეწევა იმ აპლიკანტს, რომელიც მიიღებს მაქსიმალურ ქულათა არანაკლებ 60 პროცენტს.

3. თუ მაქსიმალურ ქულათა არანაკლებ 60 პროცენტი მიიღო რამდენიმე პროექტმა და მათი საერთო (ჯამური) თანხა აღემატება დამტკიცებული ბიუჯეტით გათვალისწინებულ ასიგნებებს, რეკომენდაცია დაფინანსების თაობაზე, გაეწევა იმ პროექტებს, რომლებსაც მიღებული აქვს უფრო მაღალი ქულა ან/და დასაშვებია აპლიკანტ(ებ)თან მოხდეს დაზუსტება, მათ მიერ წარდგენილ ხარჯთაღრიცხვასთან მიმართებაში და საბოლოო შედეგები განისაზღვროს ამ პროცედურის გავლის შემდეგ აპლიკანტის წერილობითი მომართვის - კორექტირებული ხარჯთაღრიცხვის საფუძველზე.

4. ქულათა თანაბრად განაწილების შემთხვევაში გადამწყვეტია სხდომის თავმჯდომარის პოზიცია.

5. კომისიის რეკომენდაცია შეფასების საბოლოო შედეგებთან მიმართებაში აისახება სხდომის ოქმში, რომელსაც ხელს აწერს კომისიის თავმჯდომარე და მდივანი.

6. გადაწყვეტილების მიღება ხდება ცენტრის დირექტორის ბრძანებით.

მუხლი 9. მომსახურების შესყიდვა

კონკურსის მაღალორგანიზებულად ჩატარების მიზნით, მომსახურების შესყიდვა განხორციელდეს საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საფუძველზე.